

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი N2

ქ. თბილისი

13.03.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი - სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას“ დირექტორის მოადგილე; სხდომის მდივანი;

მამია ჯანჯალია - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე;

ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;

მარიკა შიოშვილი - კომპონენტთა შორის პროექტების და დევნილთა საბინაო საკითხების ჯგუფის ხელმძღვანელი (NORC (North Opinion Research Center) at the University of Chicago). პროექტი ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები (USAID/NEO);

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ აფრასიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ჯულიეტა ალავეძე - შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის დირექტორი;

რევაზ ბიწკინაშვილი - შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის ტურიზმისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯერი;

გურამ როსტიაშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის დირექტორი;

ნინო ბერძენიშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის იურისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტები):

ეკატერინე გიგაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:35 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

გამომდინარე იქიდან, რომ სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, მისი მოვალეობის შესრულება თავმჯდომარემ მაია ჩიხლაძეს დაავალა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ლევან მადათოვმა, განაცხადა, რომ წინა სხდომებზე გამოთქმული მოთხოვნის თანახმად, შპს საზოგადოებრივმა კოლეჯმა - Natali Academy და პროფესიულ კოლეჯ - თეთნულდმა წარმოადგინეს ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ კორექტივას და დარწმუნდნენ, რომ მოთხოვნები შესრულებული იყო.



1. შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა ეკატერინე გიგაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა, ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობა დაადგინეს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 17 ოქტომბრის N7 სხდომის ოქმით განსაზღვრული შენიშვნების გათვალისწინებით. ექსპერტმა განაცხადა, რომ მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი პროგრამების კრედიტების რაოდენობა განსხვავდებოდა ავტორიზაციის ვიზიტისას წარდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული კრედიტების ოდენობისგან, კერძოდ სასტუმრო საქმის წარმოების მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა იყო 75 კრედიტი ნაცვლად 69 კრედიტისა, ხოლო სასტუმრო საქმის წარმოების მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა 40 კრედიტი ნაცვლად 32 კრედიტისა. ეკატერინე გიგაშვილმა საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები გააცნო:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სასწავლო კურსის სილაბუსით გაწერილი იყო სწავლების მეთოდები: ევრისტიკული, თანამშრომლობითი, შემთხვევის ანალიზი, ახსნა-განმარტებითი, პროექტის მომზადება/პრეზენტაცია, მაგრამ სასწავლო კურსების სილაბუსს (მაგალითად სასწავლო კურსი - ადამიანური რესურსების მართვა - მერაბ ხოხობაია) ახლდა სასწავლო კურსის შინაარსისა და მისი განაწილების სქემა, რომლის მიხედვითაც 13 საათი ეთმობოდა ლექციას, 15 საათი სამუშაო ჯგუფში მუშაობას, მათ შორის, 2 საათი პრეზენტაციის წარდგენას. სწავლების მეთოდების უნიფიცირება და სასწავლო კურსის მისაღწევი შედეგების ფორმულირებისას სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებლობა ბუნებრივია, ექვეყნეშ აყენებდა პროგრამითა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევას. სწავლების მეთოდებში არ ხდებოდა სალექციო მეთოდისა და ჯგუფური მეთოდის, როგორც გამოსაყენებელი მეთოდის მითითება, მაგრამ ყველა სასწავლო კურსის საათები გადანაწილებული იყო ლექციაზე.

1.2 სტუდენტთა შეფასების სისტემა ძირითად შემთხვევებში იდენტური იყო პროფესიული პროგრამების მიხედვით თითქმის ყველა სასწავლო კურსში. სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასების სისტემა, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, მეტ გააზრებასა და დახვეწას საჭიროებდა, კერძოდ: სილაბუსების უმრავლესობაში შეფასების კომპონენტები განაწილებული იყო შემდეგნაირად:

ა) აქტივობა - 15 ქულა; რიგი სასწავლო კურსების შემთხვევაში - 30 ქულა.

აქტივობა ფასდებოდა „ჯგუფური მეცადინეობის დროს დასმული კითხვებითა და საკითხის განხილვის და გადაწყვეტის პროცესში ჩართულობის ხარისხით“, ბუნდოვანი იყო, რამდენად იყო შესაძლებელი პროფესიული სტუდენტის ობიექტურად და გამჭვირვალედ შეფასება იმ კრიტერიუმებით, რაც ახლდა თან აღნიშნული აქტივობის შეფასებას, კერძოდ: 12-15/8-11/4-7/0-3/ (მაგალითად სასწავლო კურსი - ადამიანური რესურსების მართვა - მერაბ ხოხობაია). არ ჩანდა, რა შემთხვევაში ჰქონდა სტუდენტს 10,13,14,6,5,9,10,2,1 ქულის მიღების შესაძლებლობა ან რა შემთხვევაში იღებდა შეფასებას 12,15,11,8,4,7,3 ქულის ოდენობით; გარდა ამისა, დრო, რომელიც საჭირო იყო აქტივობის, როგორც კომპონენტის შეფასება არასაკმარისად იყო მითითებული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ სასწავლების ფორმატსა და განკუთვნილ საათებში.

ასევე, იდენტური იყო მესამე საფეხურის სასტუმრო საქმისწარმოების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილ სასწავლო კურსებში (უმრავლესობაში) აქტივობის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები.

ერთი მხრივ, წარმოდგენილი იყო ქულები 22-30; 15-21; 8-15; 1-7; 0 - სახით და უფრო დეტალურად არ ჩანდა, რა შემთხვევაში რამდენი ქულით ფასდება სტუდენტი;

აღნიშნული კომპონენტი ფასდებოდა „ჯგუფური მუშაობისას დასმული კითხვებით და საკითხის განხილვის და გადაწყვეტის პროცესში ჩართულობის ხარისხით“. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი რუბრიკა შეუძლებელია მორგებული ყოფილიყო ინდივიდუალური სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე; ასევე აღსანიშნავია, რომ ასეთი შეფასების სისტემა ვერ იქნებოდა ორიენტირებული სამუშაო ჯგუფებში მუშაობის შეფასებაზე, არ ჩანდა შეფასებები ყოველი სამუშაო ჯგუფის მუშაობის დროს იწერებოდა თუ - ერთიანად ხდებოდა მისი დაფიქსირება სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შესაბამისი ვადის ამოწურვის შემდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული შეფასების რუბრიკა ვერ იქნებოდა გამოყენებული, რადგან არ ჩანდა, როგორ ფასდებოდა სტუდენტი თითოეული სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს, ხოლო ერთიანად მუშაობის შემთხვევაში - შესაძლებელია, სტუდენტი რიგი შეხვედრის დროს იყოს აქტიური, ხოლო რიგი სამუშაო შეხვედრების დროს - პასიური. ამასთან, სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი შეფასების სიტემა ვერ უზრუნველყოფდა სილაბუსებით განსაზღვრული სასწავლო კურსის მიზნების და მათ შესაბამისად - სწავლის შედეგებში მითითებული კომპეტენციების გამომუშავების დადასტურებას.

შეფასების დანარჩენ ნაწილშიც (შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა) გათვალისწინებული იყო მხოლოდ წერიტი კომპონენტი (ტესტირება და თეორიული საკითხი), მაშინ, როდესაც მაგ.: ფრანგული ენა 1 სასწავლო კურსის მიზნები ითვალისწინებდა „მარტივი ტექსტის მოსმენას და მასში შეცდომების პოვნას“ - თუმცა, აღნიშნული აქტივობა გათვალისწინებული არ იყო და არ ფასდებოდა რამდენად მიაღწია სტუდენტმა შესაბამის სწავლის შედეგს. ასევე, შეფასების მეთოდები სასწავლო კურსებისთვის: მეტყველების კულტურა - ქართული ენის პრაქტიკული კურსი 1; მეტყველების კულტურა - ქართული ენის პრაქტიკული კურსი 2 არ იყო ადეკვატური და არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების - კომპეტენციების დასადასტურებლად.

1.3 სასწავლო კურსების მიზნები ფორმულირებულია შემდეგნაირად - სასწავლო კურსის მიზანია პროფესიულ სტუდენტებს შეასწავლოს ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი წესები/ნორმები; განუვითაროს ზეპირი და წერიტი კომპეტენციის პრაქტიკული უნარ-ჩვევები ქართულ ენაზე სინტაქსური და პუნქტუაციური/სტილისტური წესების გამოყენებით, გამოუმუშაოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეძენილი სხვადასხვა ხასიათის წერილობითი ტექსტების/დოკუმენტების ზეპირად პრეზენტაციების/საკუთარი აზრების არგუმენტებით გამყარებისა და დაცვის უნარი, რაც საწინდარია პროფესიული მოვალეობის უზადოდ შესრულებისა (საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის რელევანტურად და თანმიმდევრულად გადაცემა სალიტერატურო ნორმების დაცვით).

წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებით, მაქსიმალური - 100 ქულა ნაწილდებოდა შემდეგნაირად:

1. აქტივობა სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს (ფასდება სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს დასმული კითხვებით და საკითხის განხილვის და გადაწყვეტის პროცესში ჩართულობის ხარისხით);
2. შუალედური გამოცდა - მაქს. 30 ქულა - ტარდებოდა ტესტირების საშუალებით, ტესტი 30 კითხვას მოიცავდა, ერთი სწორად გადაჭრილი კითხვა ფასდებოდა 1 ქულით;
3. დასკვნითი გამოცდა ტარდებოდა ტესტირების საშუალებით, ტესტი 40 კითხვას მოიცავდა, ერთი სწორად გადაჭრილი კითხვა ფასდებოდა 1 ქულით.

ამდენად, წარმოდგენილი შეფასების სიტემა არ ითვალისწინებდა გამომუშავებული ზეპირი და წერილობითი კომპეტენციის დადასტურებას, არ ფასდებოდა, რამდენად უმუშავდება სტუდენტს არგუმენტირებული დასკვნის უნარი (სილაბუსის მიხედვით კი აღნიშნული გამომუშავდება სასწავლო კურსის ფარგლებში შემოთავაზებული ესეებისა და წერიტი დავალებების შექმნის პრინციპზე). ესეებისა და წერიტი დავალებების შესრულება კი გათვალისწინებული საერთოდ არ იყო, არც მისი შეფასება, ანალოგიურად - საქმიანი მიმოწერის ფორმები, ტექსტის რედაქტირების საფუძვლები. ამდენად, აღნიშნული სასწავლო კურსისთვის შეფასების სისტემა არ იყო სათანადოდ გააზრებული და არ იძლეოდა მიღწეული კომპეტენციის დადასტურების საშუალებას. ასევე მეტ გააზრებას საჭიროებდა პრეზენტაციის კომპონენტი, რადგან სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით ჩანდა, რომ პრეზენტაციის წარდგენა პროფესიულ სტუდენტს უწევდა სწავლების მეთხუთმეტე კვირას 2 საათის განმავლობაში, როგორ ხდება საპრეზენტაციოდ საკითხის შერჩევა - არ ჩანდა.

1.4 სულ სასწავლო კურსის შუალედური და დასკვნითი გამოცდისთვის განკუთვნილი იყო 2-2 საათი, აქტივობისა და პრეზენტაციის შეფასებებისთვის (თითოეული 15 ქულა) დრო საერთოდ არ იყო განსაზღვრული; აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებით ასევე არ დგინდებოდა შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე რომელი პერიოდის საკითხების ჩაბარება მოეთხოვებოდა სტუდენტს, კერძოდ: შუალედურ გამოცდაზე სტუდენტს 3 თეორიული დავალების (რომელშიც გათვალისწინებულია განვლილი მასალიდან საკვანძო საკითხები), ხოლო დასკვნით გამოცდაზე 4 თეორიული დავალების (რომელშიც გათვალისწინებულია განვლილი მასალიდან საკვანძო საკითხები) შესრულება მოეთხოვება, რთულია იმის დადგენა განვლილი მასალიდან ერთიდაიმავე საკვანძო საკითხის ჩაბარება მოეთხოვება პროფესიულ სტუდენტს თუ კონკრეტულად სხვადასხვა სასწავლო ეტაპზე შესწავლილი საკვანძო საკითხის ირგვლივ დავალების შესრულება.

სასწავლო კურსები ინგლისური ენა 1 და ინგლისური ენა 2 - 4 კრედიტის ოდენობით იყო წარმოდგენილი პროგრამის ფორმატში. ინგლისური ენა 1 სასწავლო კურსის მიზანი იყო: შეასწავლოს პრაქტიკული საკითხები, აგრეთვე გრამატიკული თეორიული და პრაქტიკული მასალა, ინგლისურენოვანი კომუნიკაციის დამყარების წესები სიტუაციის, სფეროსა და თემატიკის მიხედვით, რათა მან შეძლოს საჭირო ინფორმაციის გაგება. გამოუმუშაოს ინგლისური ენის დაუფლების შესაბამისი უნარ-ჩვევების საფუძვლები“

ინგლისური ენა 2 სასწავლო კურსის მიზანი არის: „ინგლისურ ენაზე გამართული წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია, კომპეტენციის ფარგლებში საჭირო ინფორმაციის გაგება, გააზრება და მოძიება, ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროების შემთხვევაში დაზუსტება, წარმოქმნილი პრობლემის შესახებ ინფორმაციის დეტალურად მიწოდება, ინგლისურ ენაზე ამომწურავი ინფორმაციის საინტერესოდ გადაცემა და შესაბამისი ახსნა-განმარტების მიცემა“. ინგლისური ენა 2-ისთვის განკუთვნილი 4 კრედიტი არ არის საკმარისი სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგის მისაღწევად, რაც ფორმულირებულია შემდეგნაირად: მაგალითად ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში: „პროფესიულ სტუდენტს აქვს საკმარისი ლექსიკური მარაგი და გრამატიკული ცოდნა ინგლისურ ენაზე გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისთვის“.

 5

პრაქტიკის შეფასება არ ითვალისწინებდა კონკრეტულ პროგრამაში არსებული პრაქტიკის კომპონენტის სპეციფიკას და ნაკლებად იყო ორიენტირებული პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და მათ შეფასებაზე.

1.5 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პრაქტიკის სილაბუსებით გაცხადებული სასწავლო კურსის მიზნები და სწავლის შედეგები (რომელიც ექვსი კომპეტენციითაა წარმოდგენილი) წინააღმდეგობაში მოდიოდა სასწავლო პრაქტიკის დანიშნულებასთან, რომელიც მთლიანად ორიენტირებული უნდა იყოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე და შეუძლებელია ავითარებდეს ცოდნა - გაცნობიერების ან სწავლის უნარს. ანალოგიურად სასწავლო პრაქტიკისა, ექვსივე კომპეტენცია გამომუშავდება სწავლის შედეგების მიხედვით - საწარმოო პრაქტიკის შემთხვევაშიც, რაც ასევე ეწინააღმდეგება საწარმოო პრაქტიკის იდეას - უკვე მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენოს და განამტკიცოს პროფესიულმა სტუდენტმა“.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში ჩასწორდა სწავლების მეთოდების ნაწილი, შეფასების კომპონენტები ჩაიშალა დეტალურად, ჯგუფურ აქტივობას -- წერითი და ზეპირი დაემატა, სილაბუსებში მიეთითა აქტივობების შეფასება სწავლის სხვადასხვა შედეგის გათვალისწინებით, უცხო ენებს დაემატა ზეპირი აქტივობები, დაკონკრეტდა სწავლის შედეგები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ყველაფერი შეესაბამებოდა მინისტრის ბრძანებას, რომლის მიხედვითაც, სტუდენტის დატვირთვა მოიცავდა ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობასა და პრეზენტაციას.

მან აღნიშნა, რომ ინგლისური ენა 1 და ინგლისური ენა 2 ოთხ-ოთხი კრედიტით იყო წარმოდგენილი. გაიზარდა საკონტაქტო საათები, სრულად იქნა გათვალისწინებული სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

საბჭოს წევრმა, მაია ჯანჯალიამ აღნიშნა, რომ პროფესიული სასწავლებლებისთვის არსებობდა გაწერილი წესი, რომელიც გაუადვილებდა საქმეს დაწესებულებას და დააზღვევდა მსგავსი უზუსტობებისგან. მან ექსპერტს მიმართა, გამოსწორებული იყო თუ არა ის ნაწილი, რის გამოც კოლეჯს მონიტორინგის პირობით მიენიჭა ავტორიზაცია.

ექსპერტმა, ეკატერინე გიგაშვილმა განმარტა, რომ პროგრამები შეცვლილი იყო, რის გამოც თავიდან მოუხდათ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

საბჭოს წევრმა, მაია ჯანჯალიამ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, განემარტა ცვლილებების მიზეზი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გამიჯვნა გახდა კრედიტების გაზრდის მიზეზი, თუმცა შინაარსობრივად პროგრამა შეცვლილი არ ყოფილა.

საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, თუ იყო გონივრული კრედიტების მოცულობის გაზრდა. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სხვაობა 4-6 კრედიტში მდგომარეობდა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტების დასკვნის საფუძველზე შეიტანეს შესწორებები პროგრამაში, და აღნიშნულის დამადასტურებელი მასალა წარმოდგენილი ჰქონდათ ცენტრში.

საბჭოს წევრებმა ექსპერტს მიმართეს, თუ გაეცნო ახალ სილაბუსებს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ დოკუმენტაცია სხდომამდე არ იყო წარდგენილი, რის გამოც, ვერ მოასწრებდა მოდიფიცირებული ვერსიების გადამოწმებას.

საბჭოს წევრმა, მაია მიქაშავიძემ, დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, თუ რამდენი სტუდენტი ჰყავდათ. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კოლეჯში 47 სტუდენტი ირიცხებოდა და მათი უმრავლესობა სწავლობდა სასტუმროს საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამაზე.

საბჭოს წევრი, ირაკლი პეტრიაშვილი დაინტერესდა, თუ ისწავლებოდა შრომის უსაფრთხოება და შრომის უფლებები, რამდენად იქნებოდა პროგრამის კურსდამთავრებული მზად შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს საკითხები გათვალისწინებული იყო პროგრამებში, ასევე ისწავლებოდა საქმიანი ურთერთობების

წარმოება. მან დაამატა, რომ დაწესებულება ითვალისწინებდა ექსპერტების შენიშვნებს და ამჟამად სამუშაო რეჟიმში იმყოფებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს და გადავიდა შემდეგი საკითხის განხილვაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:


მომხრე - 0

წინააღმდეგი-5

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საერთაშორისო ტურიზმის აკადემიის (ს/კ 400097658) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა



სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა - თამთა კობახიძემ და ეკატერინე გიგაშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ ვიზიტი მიმდინარეობდა ორი დღის განმავლობაში, თანამშრომლობით გარემოში. კოლეჯის ინფრასტრუქტურა იყო მოწესრიგებული, ადგილმდებარეობა - ხელსაყრელი. დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის შენიშვნები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო დირექტორის ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული მესამე და მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. პროგრამების გარეკანზე, სათანადო გრაფაში არ იყო მითითებული ბრძანების ნომერი და თარიღი, არც ბრძანებების წიგნში ფიქსირდებოდა დაწესებულების მიერ განსახორციელებელი პროგრამების დამტკიცების შესახებ მითითებული ბრძანება. დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამისა და სასწავლო კურსის სილაბუსის ფორმები. პროგრამის სწავლის შედეგები ზოგ შემთხვევაში ზუსტად კოპირებული იყო სტანდარტიდან, ზოგ შემთხვევაში კი - გარკვეული ინტერპრეტაციები/გავრცობები, რაც სტანდარტის შედეგებს არ ცვლდა. რიგ პროგრამებში (მაგალითად ფარმაცევტის თანაშემწე, ინფორმაციული ტექნოლოგი, ოფისის მენეჯერი, კბილის ტექნიკოსი, მასაჟისტი, ექთნის თანაშემწე, ბულალტერი, კორესპონდენტი, ღონისძიებათა მომწყობი) პროგრამის ფორმატით განსაზღვრული მატერიალური რესურსების გრაფაში, არა იყო მითითებული საწარმოო პრაქტიკის ობიექტები თუმცა ყველა ჩამოთვლილი პროგრამისთვის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი-მერხი, სკამი, კომპიუტერი, დაფა - მეორდებოდა. აღნიშნული პროგრამებიდან უმრავლესობის სასწავლო გეგმით განსაზღვრული იყო მხოლოდ საწარმო პრაქტიკა და დაწესებულებამ წარმოადგინა მემორანდუმები საწარმო პრაქტიკის ჩატარებასთან დაკავშირებით. მხოლოდ პროგრამა - ინფორმაციული ტექნოლოგი მოიცავდა როგორც სასწავლო, ასევე საწარმოო პრაქტიკას.

ფიქსირდებოდა ხშირად განმეორებადი, როგორც საერთო, ასევე სხვადასხვა ხასიათის უზუსტობები როგორც პროგრამების ასევე სილაბუსების ნაწილში კერძოდ: შეფასების მეთოდი და შეფასების ფორმა მოცემული იყო სწავლებისა და სწავლის მეთოდების პუნქტში. სტუდენტი ფასდებოდა რამდენიმე კომპონენტის საშუალებით, კერძოდ: ლექციაზე დასწრება (5 ქულა) სემინარი (5 ქულა), პრაქტიკული შემთხვევის/მაგალითების განხილვა (5 ქულა), შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა (40 ქულა). არ კონკრეტდებოდა რამდენი ქულით, ან რამდენჯერ შეეძლო შუალედური შეფასება პროფესიულ სტუდენტს, გარდა ამისა, შუალედური გამოცდის შეფასება ხდებოდა ტესტური ფორმით და ბუნდოვანი იყო ჩანაწერი: „პროფესიულ სტუდენტს ეძლევა იმ რაოდენობის ტესტური კითხვა, რამდენი ქულაც არის განკუთვნილი შუალედური გამოცდისთვის“. დასწრების კომპონენტში 5-ქულიანი შეფასებისთვის იყო შემდეგი 0 - 5

ქულა და გამოითვლებოდა სტუდენტის მიერ გაცდენილი საათების პროცენტული ოდენობით, მაგრამ ნათლად არ ჩანდა გამოთვლის მექანიზმი. პრაქტიკული შემთხვევის/მაგალითების კომპონენტში სტუდენტის შეფასება ხორციელდებოდა მაქსიმუმ 5 ქულით პრაქტიკული მეცადინეობის შედეგების საფუძველზე და ამავე დროს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო იმ რაოდენობის პრაქტიკული მეცადინეობა, რამდენი ქულაც იყო განკუთვნილი მისი შეფასებისთვის. ამ ინფორმაციის გადამოწმებით სასწავლო გეგმაში კომპონენტის შესაფასებლად განკუთვნილი საათების ოდენობით აღმოჩნდა, რომ (მაგალითად, მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსებისთვის - სამასაჟო კაბინეტის ორგანიზება, ანატომია და ფიზიოლოგია, სამკურნალო ფიზკულტურა - სასწავლო პრაქტიკა) საათების რაოდენობა ნულს შეადგენდა. პრაქტიკული კომპონენტის შეფასების სისტემა მრავალკომპონენტური იყო და 100 ქულას უნდა შეადგენდეს ჩანაწერის მიხედვით. ექსპერტთა გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ კომპონენტები გადანაწილებული იყო შემდგენიარად: დასწრებისა და აქტიურობისთვის 10-10 ქულა, შუალედური გამოცდისთვის 20 ქულა, დასკვნითი გამოცდისთვის 40 ქულა რაც ჯამში შეადგენდა 80 ქულას, არ ჩანდა 20 ქულით რის შეფასება ხდებოდა.

სილაბუსების უმრავლესობაში შეფასების მეთოდების, ინსტრუმენტებისა და კრიტერიუმების განმარტება იყო ბუნდოვანი და არა გაზომვადი. მაგალითად, აქტიურობის შეფასების კომპონენტის აღწერით ნაწილი ფიქსირდებოდა ჩანაწერები: „ნაწილობრივ აქტიურია და არ ავლენს ათვისებულ ცოდნას, აქტიურია და ნაწილობრივ ავლენს ცოდნას“, ანუ რა შემთხვევაში და როგორ იზომება აქტიურობა ან რას ნიშნავს ნაწილობრივ გამოვლენილი ცოდნა, როგორ იზომება ის არ ჩანდა.

1.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პროცედურების შესახებ რაიმე ნორმატიული აქტი დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა, მაგრამ წარმოადგინა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (საზოგადოებრივ კოლეჯებთან „კავკასია“, „იბერია“, შპს „სიო“, ქუთაისის სამედიცინო სკოლა) გაფორმებული მემორანდუმები, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია პროგრამის შეცვლის ან/და გაუქმების შემთხვევაში პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის საკითხების მოწესრიგება. ამასთან, მემორანდუმებში არაა დაკონკრეტებული, რომელი პროფესიული პროგრამების ფარგლებშია მემორანდუმი გაფორმებული.

1.3 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ერთიანი სისტემა არა იყო ჩამოყალიბებული, დაწესებულების იურისტმა წარმოადგინა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესი, რომელიც არ მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას, რომელსაც დაწესებულება გამოიყენებდა სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 01/12/2014 საკადასტრო კოდი N 03.03.26.117.01.509 სადაც დაფიქსირებული იყო მთლიანი ფართობი 902.95 კვ.მ. ასევე შენობის საიჯარო ხელშეკრულება სადაც მითითებული იყო საერთო ფართი 902 კვ.მ. - გაფორმებული ხუთი წლის ვადით ფართის მფლობელ სონა ხიჯაკაძესთან, მაგრამ არ ჩანდა მთლიანი შენობის რომელი ნაწილში იყო განთავსებული ეს 902.95 კვ. მ. დაწესებულებამ წარმოადგინა აზომვითი ნახაზები სართულების მიხედვით საიდანაც არ დგინდებოდა კონკრეტულად რომელი იყო დაწესებულებისთვის განკუთვნილი, ხელშეკრულებაში მითითებული ფართი.

2.2 ექსპერტების მიერ შემთხვევით წესით შერჩეულ იქნა ორი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და შემოწმდა სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა. აღმოჩნდა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ლიტერატურა: 1. ტურიზმის მენეჯმენტი; 2. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ი. გიგინეიშვილი; 3. ადამიანის ნორმალური ანატომია, რ. ხეცურიანი, 2011; 4. პედიატრია, მანჯავიძე, 2012; 5. კლინიკური გერიატრია, ი. ანდრონიკაშვილი, გ. სიმონია, 2001; 6. სოციალური ფსიქოლოგია, ქვარცხავა, 2001 ბიბლიოთეკაში არ იმეზნებოდა. ასევე, ზოგიერთ სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა იყო უცხოურ ენაზე და იქვე ფიქსირდებოდა ჩანაწერი: „შენიშვნა: პროფესიულ სტუდენტებს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მიეწოდება შესაბამისი სასწავლო მასალა ქართულ ენაზე ე. წ. ჰენდაუტის სახით“ მაგ.: სილაბუსში - სტუმართ-მასპინძლობის ძირითადი პრინციპები მომსახურების სახეები. ვიზიტის დროს დაწესებულებას არ წარმოუდგენია არც უცხოურ ენაზე და არც მისი ქართული ე. წ. ჰენდაუტი. თუმცა წარმოადგინეს ვებსაიტ www.amazon.com-დან უცხოური ლიტერატურის გამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტები.

2.3 დაწესებულების იურისტის მიერ წარმოდგენილი იყო ახლადაკინძული ნორმატიული აქტების ნაკრები, ასევე ბრძანებების, შემოსული კორესპონდენციის, დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ჟურნალები, შემოსული და გასული კორესპონდენციის ჟურნალი, რომელიც იყო ზონარგაყრილი, დანომრილი გვერდებით. წარმოდგენილი ბრძანების წიგნში არ იყო პროგრამების დამტკიცების ბრძანება და არც პასუხისმგებელი პირი დაფიქსირებული, თუმცა იყო პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ დირექტორის ბრძანება და პროგრამაზე პასუხისმგებელი პირები გამოყოფილი. დაწესებულებას გააჩნდა საქმის წარმოების ინსტრუქცია, რომელსაც რიგ შემთხვევებში იყენებს საქმის წარმოებისას.

2.4 დაწესებულების მიერ არ იყო წარმოდგენილი პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი და მექანიზმები. უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხორციელდებოდა დირექტორის მიერ დამტკიცებული საერთო დებულების მე-15 მუხლის მიხედვით, სადაც არ იყო გაწერილი უსაფრთხოებისთვის გასატარებელი კონკრეტული მექანიზმები.

2.5 დაწესებულებაში იყო ორი სველი წერტილი სსსმ სტუდენტთათვის, თუმცა ერთი სველი წერტილის გამოყება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა, ვინაიდან კარი დამონტაჟებული იყო არასწორად. ვიზიტის დროს დაწესებულებამ დაიწყო ამ პრობლემის გამოსწორება.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 „დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით დასაქმებული იყო 42 მასწავლებელი. აქედან 14 მასწავლებელი პრაქტიკის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ვიზიტის დროს დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები: 1) სასტუმროს საქმის მწარმოებლის პროფესიული პროგრამის პრაქტიკის ინსტრუქტორს, ხათუნა კოპალაძეს არ უდასტურდებოდა სტანდარტით გათვალისწინებული დიდ სასტუმროში პრაქტიკოს მენეჯერად მუშაობის 5 წელი. აღნიშნული პიროვნება რეზიუმეს მიხედვით იყო სასტუმრო „იმპერიის“ დირექტორი, თუმცა ამის დამდასტურებელი რაიმე დოკუმენტი ვიზიტის პერიოდში არ იქნა წარმოდგენილი. 2) პროფესიულ მასწავლებლებს (რუსუდან იმედაძე, პეტრე ლომინაძე, თეა გაბუნია) პირად საქმეებში წარმოდგენილი ჰქონდათ დიპლომები რუსულ ენაზე, რომლებიც არ იყო ქართულად ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული. 3) პროფესიული მასწავლებელი მარიამ მდივანი ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამაში საგანმანათლებლო პროგრამაში კითხულობდა ლათინურ ენას, თუმცა აღნიშნულის ცოდნის დამდასტურებლად წარმოდგენილ იქნა რეზიუმეში ასახული

პრაქტიკული გამოცდილების შესახებ ინფორმაცია. 4) სარესტორნო საქმის მწარმოებლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობდა ნათელა აბუანდაძე-არსენიძე, რომელსაც ჰქონდა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია და პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების დადასტურების შესახებ დოკუმენტი არ იქნა დაფიქსირებული.

3.2 დაწესებულების დირექტორის ბრძანების შესაბამისად, მასწავლებლობის მსურველს დაწესებულების ხელმძღვანელის სახელზე განცხადებასთან ერთად უნდა წარედგინა დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელშიც იყო მითითებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, გამოვლინდა რამდენიმე პირადი საქმე, რომელშიც არ იყო განთავსებული დიპლომები (მაგალითად: ივანე ჩხეიძე, ნინო ფხაკაძე, ხვიჩა ტაბიძე) შესაბამისად, მათი კვალიფიკაციისა და დაკავებული პოზიციის შესაბამისობა ვერ დადგინდა დიპლომის გარეშე.

დაწესებულების იურისტი, ნინო ბერძენიშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ვიზიტმა თანამშრომლობით გარემოში ჩაიარა. 2.1 გარემოებასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ნახაზი რამდენიმე წლის წინანდელი იყო და დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა ახალი აზომვითი ნახაზი, ასევე ინფორმაცია რესტრიდან, რომ ფართი სრულად იყო აღებული იჯარით.

პროგრამების დამტკიცებასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი და ამ ეტაპზე გამოსწორებული იყო. საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი იყო ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ.

ადამიანურ რესურსებთან მიმართებით, 3.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამი პიროვნების დიპლომი უკვე თარგმნეს და ცნობაც მოიპოვეს სასტუმროში მუშაობის შესახებ. ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაციის მქონე პირი კი გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან.

საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია დაინტერესდა შეფასების სისტემით და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რატომ ენიჭებოდა სტუდენტს დასწრებაში 5 ქულა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ბერძენიშვილმა, აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს, დასწრების ქულა მინიმალური ყოფილიყო, რაც მათი მოსაზრებით, სტიმული უნდა ყოფილიყო პროფესიული სტუდენტისთვის. შეფასების 20%-თან დაკავშირებით, ნინო ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმაში შუალედური გამოცდა ორჯერ იყო გაწერილი.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ განაცხადა, რომ სილაბუსებიდან არ ჩანდა, შეფასების 20% რაზე ნაწილდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო გეგმაში ეწერათ და დასკვნაში ექსპერტების შეცდომით, არ იყო გათვალისწინებული. მან საბჭოს წევრებს დაურიგა სასწავლო პროგრამებისა და სილაბუსების რამდენიმე ეგზემპლარი. ექსპერტმა, ეკატერინე გიგაშვილმა, განაცხადა, რომ ეს არ იყო ის პროგრამა, რომელიც მათ შეამოწმეს, მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს შესწავლილი მასალები ბეჭდით იყო დამოწმებული, საბჭოზე წარმოდგენილი კი - არა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ წამოიღეს ექსპერტებმა დანართები. ეკატერინე გიგაშვილმა აღნიშნა, რომ არ ჰქონდათ წამოღებული დანართები, რადგან ეს უზუსტობა მექანიკურ შეცდომად მიიჩნიეს და არ გაუმახვილებიათ ყურადღება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ორჯერ იყო განმეორებული 20 ქულა და ალბათ ვერ შენიშნეს ექსპერტებმა ეს ჩანაწერი. საბჭოს წევრი, მამია ჯანჯალია, არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს და მიუთითა პროგრამაში არსებულ შესაბამის ჩანაწერზე. მამია ჯანჯალია დაინტერესდა იმ პედაგოგის სილაბუსით, რომელსაც ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია ჰქონდა, დაწესებულების წარმომადგენელმა

უპასუხა, რომ აღნიშნული პიროვნება გათავისუფლებული იყო. მამია ჯანჯალიამ საგნის სილაბუსი მოითხოვა.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ დირექტორთან გასაუბრების დროს ექსპერტებმა დასვეს შეკითხვა, თუ რამდენად გაუწევდნენ კონკურენციას სხვა მრავალპროფილიან კოლეჯებს, რაზეც კოლეჯის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ბაზრის კვლევა დაწესებულების დამფუძნებლებს ჩატარებული ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ, ექსპერტებს მიმართა, შეეფასებინათ ბაზრის მდგომარეობა. თამთა კობახიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტები ლაბორატორიებით არ იყვნენ კმაყოფილები, განსაკუთრებით კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუმცა გაფორმებული მემორანდუმების რაოდენობა დიდი იყო, რის გამოც, ჩათვალეს, რომ დაწესებულება მოახერხებდა პრაქტიკის უზრუნველყოფას.

საბჭოს წევრი, მამია ჩიხლაძე დაინტერესდა, თუ ჰქონდათ ლაბორატორია კბილის ტექნიკოსის პროგრამის სტუდენტებისთვის. ექსპერტებმა უპასუხეს, რომ არსებობდა ოთახი, მოძველებული ინსტრუმენტებით, მულაჟებით, თუმცა ეს არ იყო ლაბორატორია, დაწესებულებაში არსებობდა მასაჟისტის ლაბორატორია.

საბჭოს წევმა, მამია ჯანჯალიამ დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, თუ რამდენ სტუდენტს მოიაზრებდნენ ინტერნეტ ტექნოლოგიების ჯგუფში. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აუდიტორიაში მაქსიმუმ 20 სტუდენტს განათავსებდნენ, რაზეც საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ბევრი იყო. დაწესებულების იურისტმა, ნინო ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ ამის შესახებ სტანდარტი არ არსებობდა და სიტუაციიდან გამომდინარე, 20 სტუდენტის მომსახურებას შეძლებდნენ.

2.2 პუნქტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი მოგვარებული იყო და უკვე ჰქონდათ ყველა წიგნი, ჰენდაუთი გამოიწერეს და კიდევ აპირებდნენ ბიბლიოთეკის გადიდრებას. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნული წიგნები წარმოადგინეს საბჭოზე.

16:54 საათზე საბჭოს სხომაზე შესვენება გამოცხადდა.

სხდომა განახლდა 18:33 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრამდე საბჭოს წევრებს მიმართა, კომენტარის გაკეთება ხომ არ სურდათ.

ირაკლი პეტრიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს მოუწოდა, დაეხვეწათ სილაბუსები შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტები შრომის ბაზარზე ვერ შეძლებდნენ კონკურენციის გაწევას, აუცილებელი იყო, რომ სტუდენტებს სცოდნოდათ საკუთარი უფლებები.

საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა ირაკლი პეტრიაშვილის მოსაზრებას და კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0;

წინააღმდეგი - 5;

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტს (ს/კ 40612960) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა ავტორიზაციის შესახებ უარის თქმის საფუძველი. მან აღნიშნა, რომ იყო არსებითი ხარვეზები, კერძოდ 1.1 პუნქტთან დაკავშირებით. შეფასების სისტემა 12 პროგრამისთვის სტანდარტული იყო, სილაბუსებში არ იყო მითითებული შუალედური გამოცდების რაოდენობა, არ იყო მითითებული მაქსიმალური ქულა და საერთო ჯამში არ ჩანდა 100 ქულა. აღნიშნული ჩანაწერები არ იყო ნათელი და მკაფიო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ შეფასების სისტემა გამჭვირვალე იყო და დაინტერესდა, თუ იქნებოდა ოქმში დაფიქსირებული, როგორი უნდა ყოფილიყო შეფასების სისტემა, რადგან სამომავლოდაც აპირებდნენ განაცხადის შემოტანას და სურდა, მიეღო სამართლებრივი გარანტია, რომ მომავალში მიიღებდნენ ავტორიზაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ოქმი ასახავდა სხდომის მიმდინარეობას, და დააზუსტა რამდენიმე სილაბუსის მაგალითზე დაწესებულების შეფასების სისტემის ნაკლოვანება, რომ იყო გაუგებარი და საერთო ჯამი არ ითვლებოდა - 100 ქულა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ არ სურდათ, შეფასება ყოფილიყო სტანდარტიზებული და ეს დამოკიდებული იყო ლექტორის სურვილზე, თუ რამდენჯერ გამოიყენებდა შეფასებას და სხვადასხვა საგნის შუალედურ გამოცდას განსხვავებული ქულები ენიჭებოდა. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სილაბუსში არ ჩანდა, რომ მაქსიმალური შეფასება შეადგენდა 100 ქულას.


საბჭოს წევრმა, ირაკლი პეტრიაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს კორექტულობისკენ მოუწოდა და უთხრა, რომ საბჭოს მიდგომა იყო თანამშრომლობაზე ორიენტირებული. ექსპერტების მიერ შედგენილი დასკვნის მიხედვით, დაწესებულებაში სხვა პრობლემებიც არსებობდა, რაზეც მაქსიმალურად ეცადნენ, არ მიენიჭებინათ გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ საერთო ჯამში, პრობლემა ბევრი იყო. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტები მინიმალურ მოთხოვნებს უყენებდა დაწესებულებებს, რადგან ყველა მოტივირებული იყო დასაქმებულთა რიცხვის გაზრდაზე, და ამ მინიმალური სტანდარტის პირობებში ასეთი ტიპის შენიშვნები არ იყო უმნიშვნელო.

საბჭოს წევრმა, მამია ჯანჯალიამ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრები ცდილობდნენ აეხსნათ, რაში მდგომარეობდა პრობლემა, დაწესებულების წარმომადგენლები არ იყვნენ კეთილგანწყობილნი და ვერ იცავდნენ კოლეგიალური ურთიერთობის ფორმატს, რაც გაუგებარი იყო საბჭოსთვის.

თავმჯდომარემ დაამატა, რომ საბჭოს არ ჰქონდა არც იმის ვალდებულება, რომ ვიზიტის შემდგომ შემუშავებული დოკუმენტები მიეღო მხედველობაში და სხდომაზევე შეემოწმებინა. მან განაცხადა, რომ თუ არ იყო საკმარისად გასაგები საბჭოს მიერ მიცემული შენიშვნები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, დაწესებულებას კონსულტაციისთვის შეეძლო ცენტრისთვის მიემართა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:00 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი



მდივანი
მამია ჩიხლაძე

